# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 316

2 ოქტომბერი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის $127^2$ მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 სექტემბრის №18.805.1184 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს" შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის №1137/1 ხელშეკრულების (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) შეწყვეტის საკითხი.

2. გაუქმდეს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებები, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 სექტემბრის №18.805.1184 განკარგულების დანართის შესაბამისად.

3. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს" შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის №1137/1 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების ან/და შეუსრულებლობის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" გათავისუფლებაზე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე